

#10, ნოემბერი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



ერთი სიუჟეტის ამბავი...

დღეს ერთი სიუჟეტის ამბავს გაგაცნობთ, რომელიც ერთი წლის წინათ მომზადდა და მთლიანად შეცვალა სალუქვაძეების ოჯახის ყოფა-ცხოვრება...

ორსართულიანი კორპუსი, რომელსაც დროის კვალი ეძინევა – ალაგ-ალაგ აგურები, შელესილი, ზოგან კი წლების წინათ შეღებილი კედლები მოჩანს... ეს სოფელ ლიხაურის ჩაის ფაბრიკის კუთვნილი საცხოვრებელი კორპუსია, რომლის ერთ-ერთი ორთახიანი ბინა ისევე გამოიყურება, როგორც კორპუსი – აქა-იქ შელესილი, ოდესღაც შეთეთრებული თუ შეღებილი კედლები და აყრილი იატაკი, კარის და ფანჯრის გარეშე დარჩენილ ოთახში წვიმიან ამინდში ისევე წვიმს, როგორც გარეთ, რკინის ძველი საწოლი, რამდენიმე ხის სკამი, შეშის ღუმელი... ასეთ პირობებში ცხოვრობდა ერთი წლის წინათ სალუქვაძეების შვიდსულიანი ოჯახი – ცოლ-ქმარი ხუთ შვილთან ერთად.

(გაგრძელება მე-2 გვ.)



ერთი სიუჟეტის ამზავი...

(გაგრძელება)



სიუჟეტის მიხედვით ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დროებითი სამუშაოდან შემოსული თანხა ოჯახის გამოსაკვებათაც არ ჰყოფნიდა. ისინი ვერც დახმარებას იღებდნენ, რადგან ხუთი ბავშვიდან სამი სახლში დაიბადა და დაბადების მოწმობა არ ჰქონდა... სიდუხჭირის გამო სამი შვილი სკოლა-ინტერნატში გაგზავნეს...



რამდენიმე წლის წინათ, ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ თავის ერთ-ერთ პროექტს ახორციელებდა სახელწოდებით „ინტერნატიდან-სკოლამდე“, მოსწავლეთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას რამდენიმე ოჯახი გამოვლინდა, რომელსაც მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. პედაგოგთა კავშირთან არსებულმა ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა ერთ-ერთ ოჯახზე – სალუქვაძეების ყოფა-ცხოვრებაზე გადაწყვიტეს სიუჟეტის მომზადება



სახელწოდებით – „მარტო მოვდივარ“. სალუქვაძეების ოჯახის დახმარების მიზნით სიუჟეტის ჩვენებაზე „ლიდერებმა“ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიწვიეს, რამაც მალევე გამოიღო შედეგი – სალუქვაძეებმა ბავშვების დაბადების მოწმობები აიღეს და სოციალური სუბსიდიების სააგენტოსგან დახმარება მიიღეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლა-ინტერნატში მყოფი ბავშვები პრევენციის პროგრამაში ჩართო, რაც ოჯახში დაბრუნებას და თითოეული ბავშვის საჭიროებებისთვის გარკვეულ თანხას გულისხმობს. ორგანიზაცია „ვორდ-ვიჟენტმა“ ოჯახს ძროხა შეუძინა. მიუხედავად ამისა, საცხოვრებელი პირობები კვლავ პრობლემად რჩებოდა...



სალუქვაძეებს აქაც სიუჟეტი დაეხმარა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ერთ-

ერთი სოციალური პროექტის ფარგლებში სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსი – „ვიზუალური ერთმანეთზე“ – გამოაცხადა. ლიდერთა სკოლის მოსწავლეების მომზადებულმა სიუჟეტმა საუკეთესო ტელე-სიუჟეტის ნომინაციაში გაიმარჯვა. სხვა ნომინაციებში გამარჯვებულ ნამუშევრებთან ერთად იგი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის **გებ-გვერდზე** განთავსდა... ფონდ „იანანას“ წარმომადგენლებმა სიუჟეტი ნახეს და გადაწყვეტილება მიიღეს – ოზურგეთის რაიონის სოფელ წითელმთაში ოჯახს სახლი შეუძინა. სალუქვაძეების ოჯახის ყველა წევრი ახლა ერთად საკუთარ ორსართულიან სახლში ცხოვრობს, ამუშავენ მიწის ნაკვეთს, უვლიან ნაჩქარ ძროხას, ბავშვები დადიან სკოლაში... ასეთი კეთილი გაგრძელება მოყვა ლიდერთა სკოლის მოსწავლეთა სიუჟეტს

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“
1996 წელს ოზურგეთში დაარსდა. ორგანიზაცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს – იცავს გურიის რეგიონის სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესებს, ხელს უწყობს მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, სკოლის მართვის პროცესში მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ მონაწილეობა. სოციალურად დაუცველ მოზარდთა კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს საოჯახო ტიპის სახლი, მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების პროგრამის ფარგლებში მუშაობს ლიდერთა სკოლა, ორგანიზაცია გამოსცემს პედაგოგთა გაზეთს – „საფეხური“, ასევე გაზეთს მოსწავლეთათვის „რვას+1“, ამზადებს სატელევიზიო გადაცემებსა და დოკუმენტურ ფილმებს.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მცირე გრანტების პროგრამა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მომავალი წლის დასაწყისიდან **გეგმავს** „სოციალურ მოგმართავთ თხოვნით, სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის“ პროექტის ფარგლებში, **მცირე გრანტების პროგრამის დაწყებას**. გრანტები გაიცემა ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა. პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრანტის პოტენციურ

მიმღებთა ჩართვა საგრანტო პირობების დახვეწაში. მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და ხედვები თქვენი ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებების შესახებ (მაგალითად: მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება; სხვა(გთხოვთ დააკონკრეტოთ).

ინიციატივები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:

ia@civilin.org

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

კონკურსი – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ 2008

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის აცხადებს კონკურსს – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“. კონკურსი, რომელიც უკვე

კონკურსი ტარდება 4 ნომინაციაში:

1. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი;
2. საუკეთესო რადიო სიუჟეტი;
3. საუკეთესო სტატია;
4. საუკეთესო ფოტო ნამუშევარი;

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული მიიღებს ფულად ჯილდოს – 1000 ლარის ოდენობით.

საკონკურსო მასალები მიიღება 2008 წლის 30 ნოემბრამდე

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
თბილისი, 26 მაისის მოედანი 2,
მეხუთე სართული
ტელ: 914-605, 330-417

საკონკურსო განაცხადი

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის და თანამდევრი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ორეტაპიან ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროექტის „აივიშიდის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოვება“ ფარგლებში გათვალისწინებულ ინტელექტუალურ მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“,
8 ნოემბერი, 2008 წელი
ან

<http://www.civilin.org/welfare>

2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი იწვევს პირებსა და ორგანიზაციებს ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად საგანმანათლებლო ლიტერატურის პროექტისთვის შემდეგ თემატიკებში

- სასარგებლო რჩევები მასწავლებლებისთვის;
- ფუნდამენტური ნაშრომები საგანმანათლებლო თეორიაში;
- ფილოსოფია და ფსიქოლოგია.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“,
22 ნოემბერი, 2008 წელი
ან

<http://www.civilin.org/welfare>



ტრადიციად იქცა და მეორე ცხადდება, მიზნად ისახავს სოციალური თემების პოპულარიზაციას.



ახალი გამოცემა

სოციალურ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა გამოცა წიგნი – „სოციალური მომსახურების

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემა – სოციალური ზრუნვის სისტემის გაუმჯობესების ალტერნატივა“ სადაც განხილულია სოციალური მომსახურების მიწოდების 4 მოდელი. პრობლემის ანალიზის შედეგად, საქართველოს სინამდვილისთვის ყველაზე ეფექტურ მოდელად მიჩნეულია მოდელი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სერვისის ერთობლივად მიწოდებას. წიგნში ასევე განხილულია მოდელის ეფექტურად განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების მექანიზმები.



www.civilin.org/welfare

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების, კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

•
თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.
ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org
ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
•
ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ